ხუთშაბათი, 7 ივნისი 1907 წ. 37 წელიწადი პირველი—№ 122

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწ[ე]რა და დასაბეჭდ განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. —წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

,,ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს: პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/ii-65

9 ივნისს (შაბათს) სოფ. ფარცხნალში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**ივანე პეტრეს ძის თაბუკაშვილის**

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი გარდაცვალებულის მეუღლე **კესარია** და მისი შვილები: **სირინოზი, ნეოფიტე, ლადო, პავლე და მიშა.** (1—უ.—1)

9 ივნისს, შაბათს, დილის 11 საათზე, სოფელ ზემო ბოლში (დუშეთის მაზრა) გადახდილ იქნება პანაშვიდი

**ელიაზარ |ილიკო| გ[...]ახას ძის ალექს შვილის**

სულის მოსახსენებლად, (მიცვალებულის საფლავზე), რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ შვილი მისი იასონი. (1—119—1)

ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**პელაგია გიორგის ასული კონტრაძისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ანტონ ეგნატეს ძე** და მაზლები **მღ. ნესტორ, სიმონ, მიხეილ ეგნატეს ძენი და მიტროფანე გიტოს ძე კონტრაძენი.**

ცხედრის გასვენება მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან ტფილისის სადგურზე ხუთშაბათს, 7 ივნისს, შუადღის 12 საათზე, ხოლო სადგურიდან რკინის გზით—სოფ. ლიხაურს გურიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა კვირას, 10 ივნისს. (1—121—1)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**ვანისა და ვენერიულით.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**მიხეილ გედევანიშვილი**

წავიდა ტფილისიდან. ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია 1 ენკენისთვემდის. (3—3)

ექიმი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—69)

**ქუთაისში**

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—23)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (35)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—118)

**ჭალის** მთის მოიჯარადრენი ამით აცხადებენ ხსენებულ მთის მონაწილეთა საყურადღებოდ, რომ თანახმად საიჯარო ხელშეკრულებისა, მეპატრონენი ამა მთისა, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ „რეესტრი" მონაწილეობის დაგვარად შედგენილი, ვინაიდან ნახევარი საიჯარო ფული უნდა დარიგდეს 27 ივნისს ამ წლისა. ზამოხსენებული „რეესტრი" უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს ზემოხსენებულ რიცხვისა. (2—კვ.—1)

**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ ბებჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონეა**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. შეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—72)

ლამბაშიძის

**სანატორიუმი**

პატარა-ცემში

ქალ ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—7)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

**ახალი გამოცემა**

წერა-კითხვის საზოგადოებისა

**ფიზიკური გეოგრაფია**

ს. იაშვილისა.

სახალხო და საყმაწვილო წიგნი.

სურათებით. ფასი 20 კაპ. (5—6.—2)

**ახალი წიგნი**

წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ისტორიული მონოგრაფია

**,,ამბოხება კახეთისა"**

**1812 წ.**

**ა. ფრონელისა.**

ფასი ერთი მანეთი

იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ." იმავე ავტორისა. (20—უ.—1)

ქუთაისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის 12 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა **სალორიის აგრაკში** ქალაქის საავადმყოფოს აშენების გასაცემად. ვაჭრობის დროს სამუშაოს სხვა და სხვა ნაწილი (როგორც, მაგალითად: ხის ნაწილი, ქვის, მიწისა და სხ.) ცალ-ცალკე გაიცემა. (3—6.—1)

სასწრაფოდ

**იყიდება**

ორ-სართულიანი სახლი. აქვე იყიდება ორი „ლინეისკი" ძროხა ხბოთი. ავლაბარი თელავის ქ., № 17. პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე იქვე (2—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

7 ივნისს 1907 წელს

**ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისაგან**

პირველად ქართულ ენაზედ დაიდგმება ოპერა

**კარმენი**

ოპერა 4 მოქ. მუს. ბიზესი, თარგ. ვ. გუნიასი. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თ. რჩეულიშვილისა-პახომოვისა, ტ. აბაშიძისა, მ. ძნელაძისა და მ. ფალიაშვილისა; ბ-ნნი ნავტი, დ. კ. გედევანიშვილი, ი. ალასიანი, ი. ნესტეროვი და ა. ამირიშვილი. გუნდი ტფ. ფილარმონიულ საზოგადოებისა. **დასაწყისი 8 საათ. საღამოს.** (4—უ.—4) დირიჟორი **ზ. პ. ფალიაშვილი.**



**ყურადღება!!!**

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მკერავ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მკერავ მაშინების „როსსია"-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: **Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.** (50—73.—31)

ტფილისი, 7 ივნისი.

გუშინ ჩვენ განვიხილეთ ახალი საარჩევნო კანონი საზოგადოდ, დღეს კი გვსურს თვალი გადავავლოთ კერძოთ კავკასიის შესახებს მუხლებს ახალის კანონისას. უნდა აღვნიშნოთ, რომ სააგენტო კრთობ მოკლედ გადმოგვცემს ამ მუხლებს, ასე რომ ზოგი რამ გამოურკვეველი რჩება. მაგრამ რაც დეპეშიდან კი ირკვევა, ისიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს ქვეყანას მეტის მეტად შეზღუდეს საარჩევნო უფლება.

პირველად ყოვლისა ვტყობილობთ, რომ მთელ კავკასიას, ახალის კანონის ძალით, უნდა ეყოლოს მხოლოდ 10 წარმომადგენელი. სულ იმიერ და ამიერ კავკასიაში 10 გუბერნია და ოლქია; მაშასადამე, თითოზე თითო კაცი მოდის; სულ ამ მხარეში მცხოვრებთა რაოდენობა 9 მილიონ სულს აღემატება; მაშასადამე, თითო დეპუტატი თითქმის ერთ მილიონზე მოდის. შარშანდელთან შედარებით დიდი განსხვავებაა. მაშინ კავკასია ირჩევდა 29 დეპუტატს; რვას მარტო საქართველო (ტფილ., ქუთაისის და ბათუმის გუბერნიები) გზავნიდა. გარდა ამისა დეპეშაში ერთი გარემოება გაუგებარია: ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის რუსობა ცალკე ირჩევს ერთ საკუთარ დეპუტატს, მაგრამ არაა ნათქვამი ეს დეპუტატი შედის თუ არა საერთო რიცხვში; შესაძლებელია, რომ ესეც იმ ათში იგულისხმება; მაშინ დანარჩენთათვის რჩება მხოლოდ ცხრა დეპუტატი. შუათანა ანგარიშით, შიდა რუსეთში 1 მილიონზე ოთხი დეპუტატი მოდის; მაშასადამე, ჩვენს მხარეს **ოთხჯერ** ნაკლები რიცხვი მიუსაჯეს...

წინანდელის საარჩევნო კანონით, კავკასიაში ორ ქალაქს—ბაქოსა და ტფილისს—ჰქონდა უფლება საკუთრად თითო დეპუტატის არჩევისა; ახალი კანონი ამ უფლებას სრულიად სპობს. გარდა ამისა, როგორც სჩანს, ჩვენში მუშებს სრულიად არ ექნებათ წინანდელი უფლება საკუთარის ამომრჩევლების არჩევისა საგუბერნიო საარჩევნო კრებისათვის. ვფიქრობთ, რომ ეს ასეა, რადგან არც საზოგადო კანონში, არც კავკასიის შესახებში არაა მოხსენებული მუშათა საარჩევნო კრებები კავკასიაში, მაშინ როდესაც წინანდელ კანონში ამის შესახებ ორი განსაკუთრებული მუხლი იყო (მე-7 და მე-8) შეტანილი. მაგრამ, შესაძლებელია, რომ ამ მხრით ძველი წესი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, ეს გამოირკვევა, როცა პეტერბურგის გაზეთები მთელ საარჩევნო კანონს მოგვიტანენ.

მაზრებში ამომრჩეველთა ასარჩევადაო, ამბობს ახალი კანონი, სამი საარჩევნო კრება უნდა შესდგესო: 1) მემამულეთა, 2) ქალაქის ამრჩეველთა და 3) სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულებისა. არაა მოხსენებული—იქნება თუ არა ჩვენშიაც შიდა რუსეთივით მემამულეთა და ქალაქის ამრჩეველთა კრებები დაყოფილი ორ ხარისხად: მსხვილ და წვრილ მემამულეთა, მაღალცენზიან და დაბალცენზიან ქალაქის ამრჩეველთა კრებები? მხოლოდ გარკვევითაა ნათქვამი, რომ მემამულეთათვის ცენზი მომატებულია: არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ის მემამულენი, რომელნიც წელიწადში იხდიან არა ნაკლებ 30 მანეთისა საერობო გადასახადისას; დანარჩენებმა რწმუნებულები უნდა აირჩიონ. ამრიგად, შარშანდელთან შედარებით მემამულეთათვის ცენზი ერთი ორად არის მომატებული...

მეტად უცნაურია ახალის კანონის შემდეგი მუხლიც: არჩევნების მოსახდენად კავკასია გაიყოფება ექვს საარჩევნო ოლქადო. კავკასიაში სულ 11 გუბერნია და ოლქია; ამის მიხედვით, წინანდელ კანონის ძალით, კავკასია 10 საარჩევნო ოლქად იყო გაყოფილი (ყუბანის ოლქი და ჩერნომორის გუბერნია შეერთებული იყო) ახალის კანონის ძალით-კი სულ ეს 11 გუბერნია ექვს საარჩევნო ოლქში უნდა მოთავსდეს, ესე იგი, თითქმის ორ-ორი გუბერნია უნდა შეერთდეს ერთის ან ორის დეპუტატის ასარჩევად! როგორი იქნება ეს შეერთება, ვნახავთ, როცა სრულ კანონს მივიღებთ; მაგრამ ზოგი მოსაზრება ეხლაც შეიძლება გამოითქვას და დაახლოვებით მართალიც იქნება. იმიერ კავკასიაში, როგორც ვიცით, კაზაკებს ყუბანისა და თერგის ოლქებისას საკუთარი დეპუტატები (კაზაკები) უნდა ეყოლოს, დანარჩენ მცხოვრებთაც ცალკე. მაშასადამე შესაძლებელია, რომ მარტო იმიერ-კავკასიის ორს ოლქს (თერგისა და ყუბანის) და ერთ გუბერნიას (ჩერნომორის) ოთხი დეპუტატი ერგოს; მაშინ დანარჩენ 8 გუბერნიაზე მოდის ექვსი დეპუტატი. ამ ანგარიშზე, საქართველოს გუბერნიებს, საეჭვოა, რომ სამი დეპუტატი ერგოს...

ასეთ უცნაურ სურათს გვიხატავს მოკლედ გადმოცემული დეპეშა; სავსებით კავკასიის შესახების საარჩევნო კანონის დაფასება შევძლებთ, როცა იგი სრულად გვექნება ხელთ. მაგრამ ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინანდელთან შედარებით ჩვენ მხარეს ერთი სამად შეუმცირეს საარჩევნო უფლება. ჩვენის აზრით, თურქესტანსა და იაკუტსკის ოლქს უკეთესი ბედი ეწიათ: ჩვენთვისაც სრულებით რომ წაერთვათ საარჩევნო უფლება, ისა სჯობდა...

ჟან-ჟაკ რუსსო და საფრანგეთის რევოლიუცია

(დასასრული *)

ამგვარია საფუძველი საპოლიტიკო შენობისა, რომელსაც შეიცავს „საზოგადოებრივ ხელშეკრულობის" პირველი თავები. რუსსო იღწოდა დემოკრატიის დესპოტიზმის გასამეფებლად. მას არ მოზდიოდა ფიქრად აეხსნა საზოგადოებრივ ხელშეკრულობის საშუალებით სახელმწიფოს წარმოდგომა, მას სწადდა აეხსნა მხოლოდ უფლებრივ სახელმწიფოს წარმოდგომა. ლექტორი კრიტიკულად შეეხო ამ საგანს და გაარკვია, რომ საზოგადოებრივ ხელშეკრულობაზედ დაფუძნებული უფლებრივი სახელმწიფო რუსსოსი სრულიად არ არის სახელმწიფო და მის მიერვე მოსაზრებული საზოგადოებრივი ხელშეკრულობა ხელშეკრულობა კი არ არის, არამედ ფიქციაა.

შემდეგ ლექტორი შეეხო რუსსოს თხზულების სხვა ნაწილებს და გაარკვია, რომ რუსსო სკეპტიკურად უყურებს არა თუ გამგე დემოკრატიას, არამედ კანონმდებელსაც. რუსსო აღიარებს, ადამიანი ღმერთების თვისებით უნდა იყოს აღჭურვილი, რომ კანონი განუწესდეს ხალხსაო.

დემოკრატიული სულის კვეთება რუსსოს მოძღვრებაში დაკავშირებულია მკვეთრ სოციალურ კრიტიკასთან. უდიდესი ბოროტება თანამედროვე კულტურისა, რუსსოს აზრით, უთანასწორობაა. ამ დროის კულტურა, აგებული ნამეტნაობაზედ და განცხრომაზედ, მთლად გაუკუღმართებულია. რუსსო იძლევა საკითხს. როგორ შეიძლება საზოგადოების გამოკეთება? რუსსო მიმართავს ბუნებრივ მდგომარეობის ფიქციას, გვიხატავს შორეულ წარსულს, პირვანდელ „ოქროს საუკუნეს" და უცოდველ ბედნიერ ჩვენს წინაპრებს, რომელნიც თავისუფალნი არიან თავისუფლების შეუგნებლად, როგორც თავისუფალია მათ გარეშე მუნჯი ბუნება და მხეცები, რომლებიც მათ არ ერჩიან.

რუსსო დაჟინებით თხოულობს დაბრუნებას ძველის დროისადმი, რომელიც გამქრალა. „შენ ეძებ, ადამიანო, ამბობს იგი, შენის ისტორიის ჰასაკსა, რომელზედაც გწადიან შენი გვარის შეყენება. უბადური ეხლანდელ მდგომარეობის მიზეზთა გამო, რომელნიც უქადიან შენს უბედურს შთამომავლობას კიდევ უფრო დიდს სივაგლახეს, უბადურს ეგებ მოგეწადინებინა ძალა გქონოდა უკან დაწევისა".

რუსსო გადაჭრით არ ამბობს, რომ კულტურა მარტო ბოროტებაა. „რაც იყო, აღარ იქნება, უკულტურობა სანატრელი ბავშობაა, ხოლო კულტურა აუცილებელი სიბერე".

ბუნებას თვითონ ჩაუნერგია ადამიანისათვის ინდივიდუალობა შეიმუშაოს, მაშასადამე თვისება მტაცებლობისა და ბატონობისა. აქედან დაიბადა აუცილებლობა იძულებულის საზოგადოებრივ კავშირისა. რუსსო აღიარებს, რომ საზოგადოება არა ერთს განვითარების ხანაშია. რუსსომ გაგვითვალისწინა ისეთი საზოგადოებრივი ფორმები, რომელიც დაუახლოვდება იდეალურ ბავშობას და სცდილობს მათ დაცვას: იგი გვიხატავს სურათს მთიულების—მესაკუთრეების სურათს და საზოგადოებას ბუნებრივ მეურნეობისაკენ უწოდებს. „ახალს ელოიზაში" წარმოდგენილია მყუდრო ნავთსადგური კაცობრიობისა.

მოუსვენარი გმირი ქალი ოჯახის დედად გახდა და ეს ოჯახი წარმოგვიდგენს მინიატურად სოციალურ უტოპიას, აქ ყველანი მუშაობენ, აქ ყველას თავისი საქმე აქვს, ყველა კმაყოფილია და, რასაკვირველია, არავის სურვილი არა აქვს თავისი მდგომარეობა დასტოვოს.

*) იხ. „ისარი" № 121

აი ამ გზით იდეალი რუსსოისა ნათესაობრივ ყოფა-ცხოვრებაშია და ბუნებრივ მეურნეობაში. მკვეთრი კრიტიკა თანამედროვე საზოგადო წესებისა თავდება დრომოჭმულ მდგომარეობის იდილიით.

რუსსოს დემოკრატია სრულიად არა ჰგავს თანამედროვე დემოკრატიას. ჩვენ დღეს დემოკრატიის მაჯის ცემას დიდ ქალაქებში ვეძებთ, რუსსოს სწადია დიდ ქალაქების აღელვებული ცხოვრება მცირედის მოთხოვნილების ძილად გადააქციოს. იმგვარი საზოგადოებრივი ოცნება, რომელიც რუსსომ წარმოგვიდგინა, უკვე ანაქრონიზმად გადაიქცა.

ბოლოს ლექტორმა გამოარკვია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსსოს საფრანგეთის რევოლიუციისთვის. რუსსომ არა თუ გამოარკვია პრინციპები 1789 წლისა: მან მისცა გადასავალი ფორმულა ძველის წეს-წყობილებიდან ახალზედ, უმთავრეს წოდებათა წარმომადგენლობიდან დამფუძნებელ კრებაზედ და შემდეგ რუსსომ გამოსცა ლოზუნგი რევოლიუციის მეორე ფაზისზედ გადასასვლელად, მან იცნო კანონიერად იძულება. აი ამაში მდგომარეობს იაკობინელობა და ტერრორი. მართალია, რუსსომ უარჰყო ტერრორი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი იყო პირველი წინამორბედი იმ ცვლილებისა, რომელიც მოხდა საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის გასულს, იგი იყო სულიერი ხელმძღვანელი საფრანგეთის რევოლიუციისა.

# ახალი ამბავი

**გაზეთის დაკეტვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „ლახვარი". პოლიციელებმა წაიღეს ასოები აწყობილ გაზეთისა და დაბეჭდეს კონტორა რედაქციისა.

**გაჩხრეკა და დაპატიმრება.** 3 ივნისს ავლაბარში, პოლიციამ გაჩხრიკა ივლიანე გოჩიტაშვილის სახლი და აღმოაჩინა იარაღი. დააპატიმრეს თვით სახლის პატრონი ივლიანე, მისი მაზლი ანდრია და ერთიც სტუმარი ივანე მესხიშვილი. სახლი და სახლის მოწყობილება სულ მთლად მიაქოთ-მოაქოთეს.

**პროტესტი.** გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას 500 ამომრჩეველმა შემდეგი პროტესტი განუცხადა: „ტფ. საბჭოს ხმოსნებმა, 13 აპრილის დადგენილებით, გაიყვანეს თავისი და გააუქმებინეს საგუბერნიო მთავრობას საარჩევნო სიები, რის მიზეზითაც 1000 მეტი ამომრჩეველი მოაკლდა საარჩევნო კრებაში მონაწილეობის უფლებას. იმის მაგივრად, რომ ქალაქის საბჭოს ესარგებლნა ერთხელვე შემოღებულ ჩვეულებით და საარჩევნო კანონი გაევრცელებინა მეტს მცხოვრებზე, მან დაამტკიცა გამგეობის მოქმედება და ამ რიგად ხელი შეუწყო, რომ ღარიბ მცხოვრებთ უფლება წართმეოდათ. პროტესტანტები ხმოსნებზე სწერენ: თქვენ საგუბერნიო მთავრობის წინაშე შეასრულეთ როლი „უმართებულესს სენატისა". თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენთვის ძვირფასი არ არის ინტერესები დემოკრატიისა. თქვენ, ხმოსნებმა, თქვენის საქციელით აღგვაშფოთეთ და ამის შემდეგ ჩვენ და სხვა მცხოვრებნიც ნდობით ვერ მოგეპყრობით".

**ადელხანოვის ქარხნის მუშების დაპატიმრება.** 4 ივნისს ტფ. პოლიციამ დააპატიმრა ადელხანოვის ქარხნის მუშები, 12 კაცი: ს. შახპულოვი, პ. ი. და ო. ბეწიანცები, პ. გასპარიანცი, პ. ასლანოვი, პ. მიკირტიჩიანცი, პ. მარკოსიანცი, ა. ვართანიანცი, პ. მარქარიანცი, ა. ბაბაიანი და ო. არაქელიანცი. დაპატიმრებულნი საგუბერნიო საპყრობილეში გაგზავნეს.

**ტფ. თავ. აზნ. კრება.** გუშინდელმა კრებამ განიხილა თხოვნა ექიმ ერისთავისა, რომელიც თხოულობდა, ქართულ გიმნაზიაში სტიპენდიები დაუნიშნეთ ქოროხის ხეობელ ქართველ მაჰმადიანებსაო. დეპუტატთა საკრებულოს მოუწონია ეს აზრი და გადაუწყვეტია ოთხის სტიპენდიის დანიშვნა. ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, თუ რა უფრო სასარგებლო იქნება, ოთხ სტიპენდიანტზე წელიწადში 1000 მანეთის დახარჯვა, თუ ამავე ფულით ქოროხის ხეობაში ქართულ სკოლის დაარსება. კრებამ გადასწყვიტა: დაუნიშნოს ოთხი სტიპენდია ქოროხელ ქართველ მაჰმადიანებს, როცა გიმნაზიაში პანსიონი გაიხსნება და დაევალოს საკრებულოს, რომ იგი მოელაპარაკოს „წერა-კ. საზოგადოებას" და თუ იგი მოახერხებს ქოროხის ხეობაში სკოლის დაარსებას, ყოველ წლიურად მისცეს მას, წ.-კ. საზოგ., 1000 მან. შემდეგ კრებამ მოისმინა გ. ამირეჯიბის მოხსენება გაზეთის დაარსების შესახებ. კრებამ მოიწონა აზრი ისეთ გაზეთის დაარსებისა, რომელმაც უნდა დაიცვას ეროვნული იდეია. იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა მოეწყოს გაზეთი და საიდან მიეცეს ფული, მიანდო დეპუტატთა და წინამძღოლთა კრებულსა, რომელმაც ამის შესახებ შემდეგ საზოგადო კრებას თავისი მოსაზრება უნდა წარუდგინოს.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში სამი წლით—გ. მელიქსეტოვი და ასტრახანის გუბერნიაში სამი წლით—ვასილ თოიძაშვილი. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ადელხანოვის მუშებს—ვასილ ათაბეგოვს, აირ. დანიელოვს, არ. გალუსტიანცს, ვლადიმერ ნუცაბიძეს, ტრ. მანველოვს და გერ. შევჩუკს.

**დაჯარიმება.** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაკეტეს რესტორანი „ვერსალი", ხოლო სახლის პატრონი მირზმანოვი სამოცი თუმნით დააჯარიმეს. მიზეზი ის არის, რომ ამ სახლს ორი გასავალი ჰქონია, ერთი—ერთ ქუჩაზე, მეორე—მეორეზე. ავჭალის ქუჩაზე დაკეტეს დავით კუპრაშვილის დუქანი. პოლიციის აზრით, იმ დუქანზე გაირბინეს პლოტნიკოვის მკვლელებმა. დაკეტეს მიხეილის ქუჩაზე „კინემატოგრაფი".

**გიმნაზია სიღნაღში.** სიღნაღის ქალაქის გამგეობამ დეპეშით აცნობა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას, რომ სიღნაღის თვითმართველობა მხარს უჭერს თავ. ჯორჯაძის წინადადებას სიღნაღში გიმნაზიის დაარსების შესახებ და თავის მხრით უთმობს გიმნაზიას შენობას, 40,000 მან. ღირებულს.

**სტრაჟნიკის მოკვლა.** სოფ. კარადაღლის მახლობლად მოჰკლეს პოლიციის სტრაჟნიკი.

**ახალი წიგნი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი—„ფიზიკური გეოგრაფია", სახალხო და საყმაწვილო წიგნი, შედგენილი ს. იაშვილის მიერ. წიგნი დასურათებულია. ფასი ერთი აბაზი.

**ტფ. გამგეობის დადგენილება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქმა იკისროს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის, მოკლულ პობედიმოვის დასაფლავებას უნდა დაესწრნენ გამგეობის მოხელენი და სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელ-მოსწავლენი; მოკლულის ოჯახს ჯერ-ჯერობით 200 მან. მიეცეს. როგორც ვწერდით, პობედიმოვს სიკვდილამდე ორი კაცი დაუსახელებია. ესენი არიან ჩემი მკვლელებიო. ორივე რუსია.

**წესდების დამტკიცება.** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ჟურნალ-გაზეთების კანტორებსა და ექსპედიციაში მომუშავეთა პროფესიონალურ საზოგადოების წესდება.

**საბაღოსნო სკოლა.** 5 ივნისს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, შეამციროს ხარჯები საზოგადოებისა და გადასდოს 1500 მან. ტფ. საბაღოსნო სკოლის შესანახად. ამ ჟამად სკოლის უმცროს კლასების მოსწავლეებს დაითხოვენ სექტემბრამდე. სექტემბრამდე უნდა გამონახონ ფული და სწავლა განაახლონ. საბჭომ განიხილა აგრეთვე სკოლის ბაღის 8 მუშის თხოვნა. რადგან თვიური მუშები საჭირონი აღარ არის და მათ სამსახურიდან ითხოვენ, მუშებმა მოითხოვეს სამი თვის ქირა. საბჭომ დაადგინა, მიეცეთ ერთი თვის ჯამაგირი.

4 ივნის რიყის ქუჩაზე სადამოთი ელექტრონის ვაგონში შევარდა ორი შეიარაღებული კაცი, კონდუქტორს 1 მან. წაართვა და მიიმალა.

ხმოსნად არჩეულმა მეაფთიაქემ ოტტენმა ხმოსნობაზე უარი სთქვა.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „4 ივნისს, ოლგას ქუჩაზე იოსებ მამულაშვილმა (გრიშაშვილმა) იპოვნა „სბერეგატელნი კასსის" წიგნი (№ 306), რომელიც ეკუთვნის ანნა ივანეს ასულს ბოგიტკინს. პატრონს შეუძლიან მოიკითხოს ამ ადრესით: სოლდათის ქ. ალგეთის შესახვ. მე-6-ე უბ. საკ. სახლი № 1".

მიწად-მოქმედების რწმუნებულის განკარგულებით აგრონომმა საჰაკოვმა შეადგინა ფილოქსერასთან მებრძოლი დასი და წაიყვანა განჯის გუბერნიაში.

5 ივნისს ღამე ეფემია გრისპუნის მსახურს გიორგი არჩვაძეს, 14 წლის ყმაწვილს, სძინებია მესამე სართულის აივანზე. სიზმარში საწოლიდან წამომხტარა, გადავარდნილა და ძლიერ დაჩეჩქილა. ყმაწვილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

5 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, არკადის ქუჩაზე ლაზარე იგნატიევს თავს დაეცა 2 შეიარაღებული უცნობი; წაართვეს ოქროს საათი ჯაჭვით და მიიმალნენ.

# ქუთაისის ქრონიკა

ქუთაისის საადგილმამულო რწმუნებულთა კრებამ საბოლოოდ მიიღო ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკის ტფილისის განყოფილებამ ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობაში. თავმჯდომარის მიერ დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ საგანგებო კომისია გაიგზავნოს ტფილისში განყოფილების საქმეთა და მის მოსამსახურეთა სარევიზიოდ, დ ხურულის კენჭ ს ყრით უარყოფილ იქმნა. კრება გადაიდო 4 ივნისისათვის.

4 ივნისს დაპატიმრეს დავით ღულიძე, რომლის სახლ ც წინა დღეს გაჩხრიკეს.

1 ივნისს ქალაქის საბჭოს კრება ხმოსნების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა. განსახილველი იყო ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ აღრიცხვა უკვე მზად არის განსახილველად და მეტად აქ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემოსავლისა და გასავლის უმთავრესი წყაროები. შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს უძრავ მამულების გადასახადი—96.596 მანეთი, რის შესამეს წინა წლების [illegible] შეადგენს. როგორც სჩანს, ქალაქის გამგეობას ზომები მიუღია ძველი ვალის გადასახდევინებლად, რადგან მიმდინარე წლის განმავლობაში შემოსულა 20.000 მანეთზე მეტი. ქალაქის ქონებათა შემოსავალი შეადგენს სულ 32.908 მანეთს აქედან სლობოდის საგარაკინ ხევარზე ცოტ ნაკლებს იძლევა. 82.644 მანეთ შემოსავალს ქალაქი მოელის: აფთიაქიდან—32,873, ხიდების გადასახადიდან—18.430 თეატრიდან—65,000 მან., საყასბოდან—11,750 მან. ტელეფონიდან—6925 და სხვა. ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადის შემოსავალი შეადგენს 22,600 მანეთს, ხოლო სესხის და სხვა დახმარებისაგან ქალაქს მოელის სულ 112.414 მ. 25 კაპ. უმთავრეს ნაწილს ამ ჯამისას შეადგენს: სესხი აუცილებელი ხარჯების დასაფარავად—40,000 მ. სესხი საავადმყოფოს ასაშენებლად—35,637 მ. 30 კ. ხაზინიდან ჯარის დაბინავების ხარჯის ასანაზღაურებლად—10.000, ქუთაისში შემოტანილ და გატანილ საქონლის გადასახადი—6 000 მ. ქალაქის მიერ დახარჯული თანხა ქუჩების მოსაკირწვლავად და ტროტუარების გასაკეთებლად—1593 მანეთი და სხვა. მთელი შემოსავალი ქალაქისა, გამგეობის ანგარიშით, უდრის 349.949 მ. 63 კ.

ამდენივეა განზრახული ხარჯად, რომელიც ასეა განაწილებული: მთავრობის დაწესებულებათა შესანახავად (ე. ი. პოლიციისა, ბინის ხარჯის სამხედრო კაცებისათვის, ცეცხლის მქრობელი რაზმისა და სხვა) 82.629 მ. 60 კ. ანუ 23% ცოტა მეტი. ქალაქის გასაუმჯობესებლად გადადებულია 60,259 მანეთი და აქედან ქუჩების ხელ-ახლად მოკირწყლვა და ტროტუარების გასაკეთებლად 30,000 მანეთი. ხალხის განათლებაზე გადადებულია 26,290 მანეთი ანუ 7%-ზე ცოტა მეტი მთელ ბიუჯეტისა; სამკურნალო, სასანიტარო და საბეითლო—წილზე 59.000 მანეთი, ამ უდიდეს ნაწილს შეადგენს 35,637 მანეთი, რომელიც გადადებულია ახალ საავადმყოფოს შენობის ასაგებად, მართვა გამგეობის ხარჯის დასაფარავად განზრახულია 35812 მანეთი. ვალის და სარგებლის გადასახდელად გადადებულია 27.875 მან., ხოლო ქალაქის დაწესებულებათა შესანახად—42.648 მ.; აქედან აფთიაქის ხარჯად

# ფელეტონი

### ა ღ ს რ უ ლ დ ა!..

### II*)

**რა არის საზოგადოება?**

ავიღოთ და გავსინჯოთ ეს ჩვენი დამღუპველი „მეტრი", რომელიც სოციოლოგმა დე-გრეფმა გასთალა ჩემი სულის სიმშვიდის დასარღვევადაც,—სხვათა შორის, რასაკვირველია...

ეს ფრიად სერიოზული, მეცნიერების მცოდნე და ღრმა სოციოლოგი საზოგადოების ორგანიულ-კონტრაქტუალისტურ თეორიის მიმდევარია. ამ თეორიის შექმნაში მას თვითონ მიუძღვის უმთავრესი ღვაწლი. იმის თვალში საზოგადოება—ორგანიზმია; ორგანიზმია ყოველი საზოგადოება ისე, როგორც მცენარე, როგორც ცხოველი, მხოლოდ გაცილებით უფრო რთული და უფრო ცვალებადი, და როგორც ამგვარი, განსხვავებულია მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმისაგან თავის ორგანოებითა და ფუნქციებით.

საზოგადოება, დე-გრეფის აზრით, ბუნებრივი მოვლენაა,—შედეგი ყველა იმის წინა-მორბედ მოვლენათა ბუნებრივ განვითარებისა. არა ორგანიული ბუნება, ორგანიული ბუნება, ფსიხიური ორგანიზაცია, საზოგადოება,—ეს მოვლენანი ბუნებრივად ვითარდებოდნენ ერთი-მეორისაგან და ბუნებრივ რიგზედ დაეწყვნენ ბუნების წიაღთა შინა. მთელის კოსმოსის სიდიადესა და განუზომლობაში რაც უნდა მცირე ადგილი ეჭიროს საზოგადოებას, იგი მაინც წარმოადგენს ამ კოსმოსის ერთ პატარა კუთხის თავისებურ ორგანიზაციას, რომელიც ბუნებრივი შედეგია იმის წინამორბედ მოვლენათა განვითარებისა, უფრო რთული და უფრო ცვალებადი.—იგი შეადგენს **პროგრესს** კოსმოსის განვითარებაში.

„განსაზღვრული ხარისხი ძალისა და ნივთიერების მდგომარეობისა ჰქმნის ძალსა და ნივთიერებას ორგანიულად."

„უფრო მაღალი ხარისხი ჰბადებს ძალისა და ნივთიერების ორგანიულად გამოჩენას, როგორც ემოციათა და აზროვნებასა."

„კიდევ უფრო მაღალი ხარისხი ორგანიულ, ემოციონალურ და მოაზრე ძალისა და ნივთიერებისა ხდება სოციალურად".[1])

აი უმთავრესი აზრი დე-გრეფისა.

დე-გრეფისათვის საზოგადოება ორგანიზმია, რომელსაც აქვს თავისი ორგანოები და ფუნქციები, როგორც ყოველსავე ორგანიზმს,—მაგრამ უფრო რთული და ცვალებადი, ვიდრე სხვა ორგანიზმები, და ისე როგორც თვით საზოგადოებრივი ორგანიზმი შედეგია სოციალურ მოვლენათა დიფფერენციაციისა ბიოლოგიურ და ფსიხიურ მოვლენათაგან, აგრეთვე მეცნიერება სოციოლოგიისა განსხვავდება თავის განსაკუთრებულ კანონებით ყველა წინამორბედ მეცნიერებათაგან, როგორც უფრო რთული და უმაღლესი მეცნიერება; ამ განსხვავების დამტკიცებაა საფუძველი სოციოლოგიის არსებობის პოზიტიურ დემონსტრაციისა. სოციოლოგია არსებობს, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელიც აღწერს საზოგადოების ელემენტებს, ორგანოებს და ფუნქციებს, სტრუქტურას და დინამიკას, და ამით ნებას გვაძლევს ცოტათ თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის **ცხოვრებაზედ**, გარეთვე რამოდენიმედ მის მომავალზედაც.

აქ არის ჩვენი დაღუპვის ძირი!..

როგორც ყოველი ორგანიზმი, კაცთა საზოგადოებაც მიწაზედა სცხოვრობს. უმიწოდ შეუძლებელია საზოგადოება. მიწა, ტერრიტორია,—აი რა არის აუცილებელი მასაზრდოებელი საზოგადოებისა, აგრეთვე ასპარეზი იმის მოქმედებისა, იგი ჯამია ყველა იმ გარეგან მოვლენათა, რომელიც მოქმედებს ადამიანზედ, და რომელზედაც ადამიანი მოქმედებს. ტერრიტორიის განწყობილება ადამიანთან ჰბადებს, დე-გრეფის სიტყვით, თვით საზოგადოებრივ ორგანიზმის ორგანოებს და ფუნქციებს,—წინდა სოციალურ შინაგან მოვლენებს, რომელთა კლასსიფიკაციაც შეიძლება იერარქიულად. აგრეთვე, თუ შეკავშირებულ ადამიანთა ჯგუფებს არ უჭირავთ ეს ტერრიტორია და აქტიურად არ მოქმედებენ მასზედ, საზოგადოება შეუძლებელია. მაშასადამე, ადამიანისა და წრის მოქმედება ერთმანეთზედ, ანუ როგორც ჩვენ ვამბობდით ჩვენს წერილებში, „ეკონომიურ მატერიალიზმზედ", A×B,—აი რა არის მ. დე-გრეფისათვის გამოსავალი წერტილი სოციალურ ფენამონთა წარმოშობისა. იგი ხმარობს მხოლოდ სხვა ტერმინს იმავე აზრით. იმის სიტყვით: **ტერრიტორია და ხალხი** (Le territoire et la popolation)—**აი ორი უმთავრესი ელემენტი სოციალურ ცხოვრებისა, საფუძველი, რომელზედაც ჩნდება და იზრდება რთული სოციალური ორგანიზმი**[2]). კარგად დავიხსომოთ ეს უტყუარი მეცნიერული სიმართლე!..

ამ საფუძველზედ არის დამყარებული მთელი საზოგადოება. ტერრიტორია და ხალხი—ორი უმთავრესი ფაქტორია, არა-ორგანიული და ორგანიული, რომელზედაც შენდება ყველა სოციალური მოვლენანი, რომელთა კლასსიფიკაციაც შეიძლება იერარქიულად, მათ უმცირესს საზოგადო ხასიათისა და სიმარტივის მიხედვითა და მათ უმეტესს სპეციალობისა და სირთულის მიხედვით. აი ეს კლასსიფიკაცია: **საფუძველი**: ორი ელემენტალური ფაქტორი არა-ორგანიული და ორგანიული: ტერრიტორია და ხალხი. მათზედ აშენებულია შემდეგი მოვლენები:

1. ეკონომიური—(უფრო საზოგადო და ნაკლებად რთული). საქონელთა ბრუნვა, მოხმარება, წარმოება.

2. გენეზიური—სიყვარული, ქორწინება, ოჯახი.

3. არტისტიული—ხელოვნება, სამრეწველო ხელოვნება.

4. რწმენის მოვლენანი—რელიგია, მეტაფიზიკა, მეცნიერება.

5. ზნეობრივი—ჩვეულებანი, ადათი, ზნეობა.

6. იურიდიული—ეკონომიური, არტისტიული, აზროვნებისა, ზნეობრივი, ადმინისტრატიული, სამოქალაქო.

7. პოლიტიკური—გარეგანი და შინაგანი.[3])

აი ეს კლასსიფიკაცია. დე-გრეფის თეორიით, ეს მოვლენანი ერთი-მეორისაგან ბუნებრივად ვითარდებიან და უკვე შემდგარ საზოგადოებას უკვე აქვს შესაფერი ორგანონი შესაფერ ფუნქციათა მიერ განვითარებულნი. სრულ საზოგადოებას აქვს ორგანონი ეკონომიური, გენეზიური, არტისტიული, რწმენისა, ზნეობისა, იურიდიული და პოლიტიკური, რომელნიც შემდეგ ნაირად არიან დაწყობილნი. მაგალითად ბრუნვის ორგანოთა ჯამი შეადგენს ბრუნვის აპარატს, მოხმარებისა—მოხმარებისას, წარმოებისა—წარმოებისას, ყველა ერთად—საზოგადოების ეკონომიურ ორგანიზმს. ჯამი ყველა ცალკე ორგანიზმისა კი მთელი საზოგადოების ორგანიზმს.

მხოლოდ ასეთი კლასსიფიკაცია ჰყოფს შესაძლებლად სოციალურ დინამიკის გათვალისწინებასა და გაგებას, იმის კანონების აღმოჩენას. კანონები ამ ორგანიზმთა ურთი-ერთ განწყობილების და ზედ-მოქმედებისა შეადგენს სოციალურ დინამიკას. აქედან ცხადადა სჩანს, რომ თვით თეორია პროგრესსისა და რეგრესსისა მეტაფიზიკურ ფარდებში ვეღარ დაიწყებს პარპაშს. იგი უნდა დაფუძნებულ იქმნას საზოგადოდ ევოლიუციის ორგანიულ მსკლელობაზედ და კერძოდ საზოგადოებათა ორგანიულ განვითარების ფაქტზედ. რეგრესსი და პროგრესსი ამ თეორიის მიხედვით განისაზღვრება საზოგადოების ორგანიზმთა, მათ ფუნქციათა განვითარებითა, ან მოსპობითა და დასუსტებით. თუ საზოგადოების მასსა იზრდება, იზრდება ტერრიტორია და ხალხი, იზრდება ყველა მისი ორგანიზმები—ეკონომიური, გენეზიური და სხვა; თუ ამ ორგანიზმთა შორის მკიდრო ორგანიზაცია რთულსა და რეგულიარულ ფუნქციონალურ კავშირსა ჰბადებს,—მაშინ პროგრესსია. თუ პირიქით, ყველა ორგანო იშლება, ან სუსტდება, ან ისპობა მათი ფუნქცია—მაშინ რეგრესსია. თუ კი რეგრესსმა იქამდისაც მიაღწია, რომ შეეხო საზოგადოების ორგანიზმთა საფუძველს, საიდანაც საზოგადოება იკვებება და იზრდება,—ტერრიტორიასა და ხალხს,—მაშინ საზოგადოება გადაშენებისა და გაქრობის გზაზედ დამდგარა და ძნელია მისი შველა. ესეც კარგად დავიხსომოთ, უბედურო ქართველო მკითხველო!..

Bâton.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ისარი" № 121.

[1]) l' Lntroduction à la sociologie, II. p. 12.

[2]) L' Introduction à le sociologie I, თავები მე-III და მე-VII-ე.

[3]) ibid. p. 214.

განზრახულია—26.714, თეატრის შესანახავად—5622, ტელეფონი—7691 და სხვა.

მკითხველი აქ მოყვანილ ცნობებიდან დაინახავდა, რომ ერთის მხრით ვალისა და სარგებლის გასტუმრება და მეორეს მხრით სავალდებულო ხარჯების გასტუმრება (პოლიცია, სამხედრო უწყება და სხვა) მეტად დაასუსტებს ქალაქის ბიუჯეტს და ხალხის განათლებას, სამკურნალო და სანიტარო საქმეს. თვით ქალაქის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მცირე რამ რჩება.

## აგრარულ კომისიის მოხსენება.

ტფ. თავად-აზნაურთა წარსულმა კრებამ შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა მოხსენების დაწერა მომავალ, ე. ი. ცხლანდელ კრებისთვის. კომისიის თავმჯდომარემ მ. ვ. მაჩაბელმა ვრცელი მოხსენება შეადგინა და კრებას წარუდგინა. თვითონ სათაური მოხსენებისა—„Докладъ о мѣрахъ сохраненія земли за коренным населеніемъ Тифлис. губ."—ცხადად ხსნის და არკვევს იმ გზასა და მიზანს, რომელიც საჩქაროდ უდევს კომისიის მუშაობას.

„ჩემის აზრით, სწერს მომხსენებელი, გუბერნიის მკვიდრ მცხოვრებლებად უნდა ჩავთვალოთ ის მცხოვრებნი განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, რომელნიც ამ ადგილზე სცხოვრობდნენ რუსების დამკვიდრებამდის საქართველოში, გადმოსულ და უცხო ელემენტებად კი ისინი უნდა ჩაითვალონენ, ვინც რუსეთის დამკვიდრების შემდეგ გადმოსახლდნენ. მაგრამ ამით მე იმისი თქმა არ მინდა, ვითომ უფლებები უნდა შეეზღუდოს გადმოსახლებულთ, პირიქით, ტფილისის თავად-აზნაურობამ მათზედაც ისე უნდა იზრუნოს, როგორც სხვებზე. მაგრამ საკითხის განხილვის დროს ზემოხსენებულ სამართლიან თვალსაზრისით ძალაუნებურად იბადება ასეთი კითხვა, ეყოფა თუ არა საგუბერნიო მიწის ფონდი ტფილ. გუბერნიაში მოსახლე მიწის მომუშავეთ.

„1897 წლის აღწერით, ტფ. გუბერნიაში იყო მკვიდრი გლეხი 713,504 სული. 10 წლის განმავლობაში ამ რიცხვს რომ მხოლოდ 10% მივუმატოთ, წრეულს, 1907 წელს, იქნება 784,854 სული. მაგრამ თუ აუარებელი გადმოსახლებულიც ვიანგარიშეთ, მაშინ მცხოვრებთა რიცხვი 800,000 უნდა აღემატოს. მთელ გუბერნიაში ირიცხება სულ 3,681,510 დესეტინა მიწა და ეს მამული რომ გავყოთ მცხოვრებთა შორის, თითო სულს ერგება 4,62 დესეტინა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ აუარებელი მამული, ტყე, მთა და კლდე, სრულიად გამოუსადეგარია, რომ საერთო მამულების დიდი წილი ეკუთვნის დიდ მთავარს, სომხებისა და უცხოელთა მონასტრებსა და ეკლესიებს, ქალაქებსა და თავად-აზნაურობას (სულ 1,666,428 დეს.), რომ სახაზინო მიწების ნახევარზე მეტი (2,015,082 დეს.) საბალახე, ტყე და გამოუსადეგარი მიწებია, მაშინ ცხადი გახდება, რომ ტფ. გუბერნიაში თავისუფალი მიწა სულ არ არის და რომ მიწის უქონლობის გამო ხალხი მეტის მეტად შევიწროვებულია. „ცხადია, რომ ამის შემდეგ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და სხვა ადგილებიდან ხალხის გადმოსახლება უდიდესი უსამართლობაა და ამ საქმეზე ფულის დახარჯვა ნიშნავს ამ ფულის წყალში გადაყრას".

თავად-აზნაურობამ უნდა შუამდგომლობა აღძრას, რომ გადმოსახლება შეჩერდეს, „მაგრამ ესეც რომ მოისპოს და თავისუფალი ადგილები ადგილობრივ გლეხებს დაურიგდეს, აქედან მაინც ბევრი არაფერი გამოვა და ხალხი ვერ მოახერხებს მიწის შენარჩუნებას, თუ ამავე დროს არ გაძლიერდა და არ გაუმჯობესდა სამეურნეო კულტურა, ტეხნიკა და საერთო განათლება. ამ საქმეს ვერც თავად-აზნაურობა შეასრულებს, ვერც ადგილობრივი საზოგადოება და ვერც ადმინისტრაცია. მისი განხორციელება შეუძლიან მხოლოდ ერობას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქმნას შემოღებული. მაგრამ ერობას წინ უნდა უძღოდეს მეორე ფართო საგლეხო რეფორმა: გლეხები უნდა გათანასწორდნენ და მოისპოს მათი დაყოფა სხვა და სხვა კატეგორიებად: სახაზინო გლეხები, მონადლენი, ხიზნები და სხ., მაგრამ ამ რეფორმასაც წინ უნდა უძღოდეს მეორე, უფრო ფართო რეფორმა: დროებით სავალდებულო ურთიერთობის გაუქმება და სრული მოსპობა ბატონყმობის ნაშთებისა. ამისთვის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა უნდა აღძრას ნამესტნიკის წინაშე, რომ მან რაც შეიძლება მალე შეიტანოს სახელმწიფო სათათბიროში სათანადო კანონ-პროექტები.

„გადმოსახლების მოსპობის შემდეგ სახაზინო გლეხების ბედ-იღბალი უფრო კარგად მოეწყობა, ვიდრე დანარჩენ გლეხებისა. სახაზინო გლეხებს, რომელნიც 400,000-მდე არიან, ერგებათ 2,015,082 დესეტინა, დანარჩენ გლეხებს კი ძლიან ცოტა მიწა დარჩებათ და ისიც სხვა მესაკუთრეების ხელშია. მათი ბედიღბლის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება აგრარული და საგლეხო საკითხი მთელ რუსეთისთვის სახელმწიფო სათათბიროში, ამიტომ მათზე ლაპარაკი დაწვრილებით ნაადრევია.

„გლეხების გარდა თავად-აზნაურობამ არ უნდა დაივიწყოს თავისი მოძმენი, წვრილი, უმამულო და გაღატაკებული თავად-აზნაურობა, რომელიც დღევანდლამდის ლუკმა პურს ათას ხრიკებითა და შარით შოულობდა. გლეხებისა და მემამულეთა შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ მიწის მფლობელობა მეტის მეტად არეულ-დარეულია და ხშირად ერთი ნაჭერი მიწა რამდენსამე ნაჭრად არის დაყოფილი. მიწის ასეთ დაქუცმაცების მოსასპობად საჭიროა დიდ მამულების ყიდვა და მათი დანაწილება პატარ-პატარა ფერმებად, რომელნიც ან უნდა შეუცვალონ ხოლმე დაქუცმაცებულ ნაჭრებზე".

მოხსენებას დართული აქვს მოკლე ინსტრუქცია აგრარულ კომისიისა, საიდანაც სჩანს, რომ ტფილისის სადეპუტატო საკრებულოსთან არსდება კომისია 9 კაცისგან, რომელიც წინამძღოლთა და დეპუტატთა ინსტრუქციის თანახმად მოქმედებს.

კომისიის მოვალეობას შეადგენს: თავისუფალ მიწების შოვნა უმიწო გლეხთათვის და ცალკე პირთათვის, შუამავლობა საგლეხო და სხვა ბანკებისა მემამულეთა და მამულის მყიდველ გლეხთა შორის, სამეურნეო დახმარება, კრედიტის შოვნა და სხ.

კომისიამ სათავად-აზნაურო კრებას წარუდგინა მოკლე ანგარიში თავის მოქმედებისა ოთხი თვის განმავლობაში.

კრებამ მოისმინა მოხსენება და ანგარიში, და დაადგინა: გადაიდოს წელიწადში 6000 მანეთი კომისიის შტატების შესანახად და 10,000 მანეთი სამეურნეო თანხიდან გადაეცეს კომისიას სხვა და სხვა საჭიროებისთვის. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. მაჩაბელი, საქმეების გამგედ—ალ. ყიფშიძე.

## შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

4 ივნისს განახლდა ქუთაისში მრეწველთა კრება. კრების ერთმა ნაწილმა მოიწადინა კრების შეჩერება იქამდის, ვიდრე პასუხს მიიღებდნენ ჭიათურიდან გაგზავნილ დეპეშაზე კრების ჭიათურაში გადატანის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ შესაძლებლად ვერა სცნო ამისი შეწყნარება და წინადადება მისცა საბჭოს თავმჯდომარეს ზდანოვიჩს, განეგრძო თავისი მოხსენება სარევიზიო კომისიის ანგარიშის შესახებ. ამ დროს უკვე შეიკრიბა 40-დე წევრი. ხალხში გავრცელებული ხმა, ვითომ მრეწველნი კრებაზე არ გამოცხადდებიანო, უსაფუძვლო გამოდგა.

პირველად ზდანოვიჩი შეეხო სასავადმყოფოს მოსამსახურეთა შორის დამყარებულ წესწყობილებას. როგორც იმის სიტყვიდან გამოირკვა, ავადმყოფოთაგან აღებულ ფულს გარდა, დანარჩენი ფული, დაახლოვებით 800 მანეთი, ზოგი სასავადმყოფოს გამგის სახელზე ინახებოდა თურმე ბანკში, ზოგიც (დაახლოვებით ნახევარი) მოსამსახურეთა ხელში ყოფილა. ამ ფულს სასავადმყოფოს ადმინისტრაცია თავის ყოველ თვიურ ანგარიშებში არსად არ იხსენიებდა, თუმცა როგორც ექიმმა ჯაფარიძემ განაცხადა, ფულის მიღების საქმე წესიერად არის მოწყობილი და ყოველთვის შეიძლება გაიგოს კაცმა, რამდენი ფული შემოვიდა. სარევიზიო კომისიის წევრმა ბ-მა გ. კოცირიძემ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მოსამსახურეთა აზრით, გარეშე ავადმყოფოთაგან შემოსული ფული მათ კუთვნილებას უნდა შეადგენდეს, რადგან უამისოდ არც ერთ ავადმყოფს არ მივიღებთო.

ზდანოვიჩი უარსა ჰყოფს ასეთს უფლებას სასავადმყოფოს მოსამსახურეთა, რადგან ისინი ვალდებულნი არიან თავიანთი დრო სასავადმყოფოს მოახმარონ, ხოლო ცალკე ფონდის დაარსება უკანონო და უხერხულია, რადგან საბჭოს თავის დღეში არ ეცოდინება, როდის ან რაზე იხარჯება ფულიო.

სამაგიეროდ, კრების ზოგიერთმა წევრმა უსაყვედურა საბჭოს: სასავადმყოფო იმდენად უკანტროლოდ ყოფილა დატოვებული, რომ შესაძლებელი გახდარა მიღებული ფული იქამდის არ ეჩვენებინათ, ვიდრე მისი არსებობა არ აღმოაჩინა საბჭოს მიერ დანიშნულმა რევიზიამაო. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ექიმ დოსაბრიძის დეპეშისა და მის პასუხის შესახებ ზდანოვიჩმა არ ინდომა ლაპარაკი, რადგან ამ დღეს სხდომას არ დაესწრო ბ-ნი კიკვაძე, რომელმაც ერთი-ერთ სხდომაზე ამ დეპეშებზე აღძრა ლაპარაკი.

სვ. ქვარიანი შეეკითხა საბჭოს—რად გამოიწვია 2000 მანეთზე მეტი ხარჯი სასავადმყოფოს გათბობამ 1906 წელს, როცა წინა წლის ხარჯი 300 მანეთზე ცოტა მეტიაო.

ზდანოვიჩის სიტყვით, ამისი მიზეზი არის: შეშის გაძვირება, გადასვლა ახალ შენობაში, რომელიც ბევრად დიდია ძველზე და სასავადმყოფოს მოუწყობლობა: დობისა და შეშის საწყობის უქონლობისგამო, შეშას იპარავდნენ თურმე.

ბევრის კამათის შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო საგანგებო კომისიის არჩევა იმის გამოსარკვევად, თუ რა ჯდება თითო ავადმყოფის შენახვა დღეში. ამ საგნის შესახებ სარევიზიო კომისიისა და საბჭოს ანგარიშების ცნობები განსხვავებულია. საბჭოს აზრით, თითო ავადმყოფის შენახვა ჯდება დღეში 3 მ. 5 კ., ხოლო სარევიზიო კომისიის ანგარიშით—5 მ. 40 კაპ. კომისიაში აირჩიეს: იასონ ბაქრაძე, ალექსანდრე კრინიცკი, ბართლომე მოსეშვილი, კონსტ. საპიცკი, ინჟენერი ავდეევი და სერაფიონ მიქაძე.

სარევიზიო კომისიის შენიშვნა სასანიტარო საქმისა და იაფ. სასადილოების შესახებ, ზდანოვიჩმა სამართლიანად სცნო, ხოლო აღნიშნა ის გარემოება, რომ სასადილოებს განაგებს დაინტერესებულ პირთა მიერ არჩეული კომიტეტი და არა საბჭო და ვიდრე საქმე ასე იქნება, საბჭო ამ საქმეში პასუხის მგებლობას არ მიიღებსო. შენიშვნა მუშათა სახლის უვარგისობის შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ უსამართლოდ მიაჩნია, რადგან ამ სახლების გეგმა, ბ-ნ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილი, მრეწველთა კრებამ განიხილა დაწვრილებით და, შემდეგ დამტკიცებისა, საბჭომ იგი უნაკლულოდ შეასრულა.

„ჩვენ გვისაყვედურეს, განაგრძო ზდანოვიჩმა, რომ საკვირაო სკოლაზე ის ფული არც-კი დავხარჯეთ, რაც ამ საქმეზე იყო გადადებულიო, და აქედან ის დასკვნა გამოიყვანეს, ვითომ ჩვენთვის მუშათა ინტერესებს ჩალის ფასადაც არ ვაგდებით. ამ დაპარაკს ჩვეულნი ვართ იმ პირთაგან, რომელთაც ჰგონიათ, რომ მუშათა ინტერესების დაცვა მათ მონოპოლიას შეადგენს; ნამდვილად-კი მათი ზრუნვა მუშათა შესახებ სიტყვების რახა-რუხზე შორს არ მიდის. ჩვენ გვგონია, რომ ის ფული, რომელიც საკვირაო სკოლისთვის არის გადადებული, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას უნდა გადაეცეს და დარწმუნებულნიცა ვართ, ეს დაწესებულება მეტს სამსახურს გაუწევს მუშათა განვითარების საქმეს, ვიდრე ძალად მაცხონე აპეკუნები და მონოპოლისტები.

„ჩვენ გვისაყვედურეს, განაგრძო ზდანოვიჩმა, რომ ჭიათურის სამკითხველოს „დახვარი" არ მისდისო. სწორედ მაკვირვებს ეს გარემოება ისე, როგორც გამაკვირვებდა ის, რომ ქუთაისსა და ჭიათურაში არ იყოს გამოწერილი „დახვარი", რადგან აქაც და ჭიათურაშიაც გაზეთების გამოწერა ჩაბარებული აქვთ „დახვარის" მომხრეებს. კერძოდ ჭიათურის სამკითხველო რამდენიმე კაცმა სადაურად გადააქცია და გაზეთებისა და ჟურნალების მკითხველნი იძულებულნი არიან არ ისარგებლონ სამკითხველოთი. თვით დაინტერესებული პირნი მოვალენი არიან, მოსპონ ეს უწესობა და სამკითხველოში წესი რიგი დაამყარონ.

„სახალხო სახლზე ჩვენ დიდი ხანია აღძრული გვაქვს ლაპარაკი და ფრიად საჭიროდაც მიგვაჩნია ამ სახლის აგება. ეხლა-კი სარევიზიო კომისიამ გადაგვირბინა წინ და გვეუბნება—„მიჯობნიათ", ე. ი. მე აღვნიშნე სახალხო სახლის აგების საჭიროებაო. დავუთმოთ პირველობა, მაგრამ რა საშუალებით განვახორციელოთ ეს საქმე? ის ადგილი სარევიზიო კომისიის ანგარიშისა, რომელიც საბჭოს მოქმედებას ეხება, ზდანოვიჩმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, აღნიშნა მოყვანილ ცნობების სიყალბე საბჭოს მოქმედების შესახებ და დამსწრეთ შეეკითხა—როგორ გესმით ის ადგილი კომისიის ანგარიშისა, რომელიც 50000 მანეთის სესხებას ეხება: ნუ თუ იქ მოყვანილ სიტყვებში ის აზრი არ გამოდის, ვითომ 50000 მანეთის სასესხებლად ჩვენ 25,000 მანეთი დაგვეხარჯოსო. როცა კრებამ დაადასტურა ზდანოვიჩის აზრი, ამ უკანასკნელმა სთქვა, უთუოდ სარევიზიო კომისიას არ ესმოდა რასა სწერდა, როცა ასეთს ცილსა გვწამებდა. ჩვენ რომ მართლა სესხის აღება გვნდომებოდა, სარევიზიო კომისიის საყვედური სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ ნამდვილად ჩვენ სამინისტროს სესხი-კი არა ვთხოვდით, არამედ იმას, რომ ჩვენი ხვედრი ფული ერთის ოვით ადრე მოეცათ. გამოირკვა, რომ ის ფული, რომელიც მრეწველთ ჰქონდათ საბჭოს საჭიროებისათვის, 3 თვის განმავლობაში რკინის გზის გამგეობისათვის კასაშია და მეოთხეზე აძლევენ პატრონს.

ინჟენერ საპიცკის ვრცელ მოხსენებას სარევიზიო კომისიის ანგარიშის სატეხნიკო განყოფილების შესახებ, სპეციალური ხასიათი აქვს და ისედაც გაჭიანურებულ წერილს აღარ გავაჭიანურებთ ამ მოხსენების აღნუსხვით. ვიტყვით მხოლოდ, რომ, ინჟენერ საპიცკის აზრით, კეთილი სურვილების გამოცხადება, როგორც ეს ემჩნევა სარევიზიო კომისიის მოხსენებას, საკმაო არ არის; საჭიროა ამას გარდა კაცმა ისიც იფარაუდოს—შესძლებს თუ არა სურვილების განხორციელებას. ამ მხრით სარევიზიო კომისიას უყურადღებოდ დაუტოვებია საბჭოს შეძლება და ფინანსიური მდგომარეობა და მხოლოდ სურვილებს აცხადებს. ნატვრა სხვაა, საქმე სხვა. სარევიზიო კომისია ვალდებული იყო საქმის რეალური მდგომარეობა ჰქონოდა მხედველობაში და არა ნატვრაო.

კრება გადაიდო 5 ივნისისათვის. ამ დღეს მოელიან ჭიათურიდან ბევრ ხალხს. და ოპოზიციას იმედი აქვს, რომ საბჭოს მოწინააღმდეგე ძალა იმდენად გაძლიერდება, რომ მას დაამარცხებს.

## თეატრი და ხელოვნება

### ჟორჟ ბიზე.

ჟორჟ ბიზე უდიდებულესი კომპოზიტორთაგანია. მართალია დიდი ხანი არ იცოცხლა, სულ 37 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი შესძინა მსოფლიო მუსიკას და განსაკუთრებით საფრანგეთს. იგი საფრანგეთის სიამაყეს შეადგენს.

ბიზე დაიბადა პარიზში 1838 წელს, ხოლო გარდაიცვალა ბუჟივალში 1875 წელს გულის ავადმყოფობისაგან. მამა ჟ. ბიზესი გალობის მასწავლებელი იყო. მან, როგორც მემუსიკემ, მალე შეატყო პატარა ჟორჟს, რომ გასაოცარი ნიჭი ჰქონდა სიმღერა-გალობისა და ადრევე მიაქცია ყურადღება. ჯერ სახლში ასწავლიდა და შემდეგ ცხრა წლის ბიზე მიაბარა პარიზის კონსერვატორიაში. აქ ბიზემ მალე მიიქცია ყურადღება პროფესორებისა. იგი უპირველეს მოწაფედ ითვლებოდა. მუსიკის თეორიას ბიზეს ასწავლიდა პირველად პროფეს. ციმმერმანი და შემდეგ ცნობილი კომპოზიტორი გალევი (რომლის ქალიც ბიზემ ცოლად შეირთო); ცხრაჯერ მიიღო ბიზემ მეტოქობის დროს უმაღლესი საჩუქარი, ხოლო მეათედ მიიღო უდიდესი ჯილდო Prix de Bom. ამის შემდეგ ახალგაზრდა ბიზე პროფესორებმა სახელმწიფო ხარჯით რომში გაგზავნეს სწავლის დასამთავრებლად და განსავითარებლად. 1859 წელს ბიზემ მიიღო მთავრობისაგან კომპ. ოფენბახის სახელობაზედ პრემია ორიგინალ თხზულებისათვის.

ოთხი წელიწადი დაჰყო ბიზემ იტალიაში და მერე დაბრუნდა პარიზში. საკვირველია, რომ ამისთანა განვითარებულ და დახელოვნებულ მემუსიკეს, როგორიც იყო ბიზე, ვერ აფასებდა შესაფერისად საზოგადოება და ხშირად იმისი მუსიკალური ნაწარმოები არ ახდენდა მათზე შესაფერ შთაბეჭდილებას. თვით ოპერა „კარმენიც" ვერ დააფასეს, არა თუ პეტერბურგში, სადაც პირველად დაიდგა 1878 წ. არამედ ბიზეს სამშობლოშიაც. მხოლოდ შემდეგ დააფასეს იგი.

მრავალი ნაწარმოები დასტოვა ბიზემ. შესანიშნავია სიმფონიური პიესა ა. დოდეს დრამაზედ «L Arlesienne» და უვერტიურა «Patrie». ამას გარდა, როგორც ზევითა ვსთქვით, ბიზემ დასწერა მრავალ რომანსი, ფორტეპიანოზედ დასაკვრელი პიესა, საპროგრამო პიესა, ორ-მოქმედებიანი და თითო მოქმედებიანი ოპერა და ოპერეტკა, მაგრამ უპირველესი ადგილი ბიზეს ნაწარმოებებში უჭირავს ოპერა «კარმენს», რომელიც დაწერილია 1875 წ. ბიზეს მთელი შემოქმედებითი ძალა და ნიჭი ამ ნაწარმოებში გამოჩნდა, გამოიხატა. შინაარსი «კარმენისა» მრავალ-ფეროვანია: აქ შეხვდებით დრამატიულ, კომიკურ და, ბოლოს, ლირიკულ ელემენტებსაც. ბიზე გარდაიცვალა «კარმენის» პირველ დადგმის სწორედ სამი თვის შემდეგ.

აი, ამ ოპერასა სდგამს დღეს სახაზინო თეატრში პირველად ქართული ფილარმონიული საზოგადოება. **ფ. ჩხიკვაძე.**

# რუსეთი

✦ **სიკვდილის სასჯელის შესახებ.** მთავარ სამხედრო სამართალმართლო გამგეობაში შედგენილ იქმნა მოხსენება არმიასა და ფლოტში სიკვდილით სასჯელის შესახებ. მოხსენების დამწერნი წინააღმდეგნი არიან სიკვდილის სასჯელის გაუქმებისა, მხოლოდ მოითხოვენ სამხედრო წესდების იმ მუხლთა რიცხვის შემცირებას, რომლის ძალით დამნაშავედ სიკვდილით სასჯელი ელის. მოხსენება მინისტრთა საბჭოს გადაეცა განსახილველად.

✦ **სინოდის ბრძოლა უწესოებასთან.** რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში მომხდარმა მღელვარებამ და გაფიცვამ დააფიქრა უწმინდესი სინოდი, რომელმაც თათბირი იქონია ამ საგნის შესახებ და იმ აზრს ადგება, რომ პასუხისგება ყველა უწესოებისათვის სემინარიების, სასულიერო სასწავლებლების რექტორებსა და ინსპექტორებს უნდა მოეთხოვოს. სინოდი სასწავლებლების უფროსთა დასჯით მოწაფეების დამშვიდებას აპირებს.

✦ **ებრაელთა საკითხი ფინლიანდიაში.** ფინლიანდიის სეიმში შეტანილ იქნა კანონ-პროექტი ებრაელთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ. გათანასწორებას ემხრობა სეიმის წევრთა უმრავლესობა—ცვეციისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიები—104 დეპუტატი. მთელი სეიმის დეპუტატთა რიცხვი კი 200-ს უდრის.

✦ **შეტაკება მუშათა შორის** 31 მაისს პეტერბურგში, ლიგოვკის ქუჩაზე დიდი შეტაკება მოხდა ქარხნების მუშათა შორის. დღესასწაულის გამო ქუჩა მუშა ხალხით იყო სავსე. საჩაიედან გამოსულ რამდენსამე მუშას ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდა. გაისმა ყვირილი: „ამხანაგებო, გვიშველეთ!" მოჩხუბართ ხალხმა მხარი მისცა და ბოლოს მთელი დიდი ქუჩა ხელჩართული ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. გამოწვეულ იქმნა პოლიცია, რომელმაც მათრახის ცემითა და ხმლებით გაჰფანტა ხალხი. დაშავებულთა რიცხვი დიდია.

✦ **საჩივარი დუმბაძის წინააღმდეგ.** იალტაში დამსჯელ რაზმის მოქმედების დროს გენ. დუმბაძის განკარგულებით სხვათა შორის დასწვეს 68 ათას მანეთად ღირებული ნოვიკოვის საგარაკო სახლი. სახლის პატრონმა საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომლის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. ნაგმა მაკაროვმა შემდეგი დაასკვნა: გენ. დუმბაძეს უფლება არ ჰქონდა უწესოების დროს მცხოვრებთა კერძო საკუთრებას შეხებოდა. ამგვარი იმისი მოქმედება უკანონოა და დაზარალებულს უფლება აქვს სამოქალაქო სამართლის ძალით გენერალს ზარალი მოსთხოვოს. ხოლო სასამართლომ, ამ საქმის განხილვის დროს უნდა გამოარკვიოს თუ, საზოგადოდ, რამდენად წესიერად იქცეოდა გენ. დუმბაძე, რაიცა სასურველი არ არის, მთავრობის მოხელეთა ავტორიტეტს და გავლენას შეარყევს და მაგალითს აჩვენებს ხალხს შემდეგში მთავრობის მოხელეების მოქმედების დასაბრკოლებლად. ამის გამო უფრო სამართლიანია ეს საქმე ადმინისტრატიული წესით გადაწყდეს და თვით მთავრობამ უზღოს დამწვარ სახლის პატრონს ზარალი სახელმწიფო ხაზინიდან.

✦ **გაფიცვები პეტერბურგში.** ამ ჟამად პეტერბურგში გაფიცულნი არიან მუშები 22 სტამბისა და წიგნების ამკინძავ სახელოსნოების, მოთხოვნილებანი ყველგან ეკონომიური ხასიათისაა.

✦ **კოოპერატიული მოძრაობა.** ხარკოვიდან სწერენ გაზ. „რეჩ"-ს, რომ სანოვაგის გაძვირებამ დაჰბადა ქალაქის ღარიბ მკვიდრთა შორის შეგნება კოოპერატიულ ამხანაგობათა საჭიროებისა. ნოქრებმა უკვე შეადგინეს კოოპერატიული ამხანაგობა და შეერთებულის ძალ-ღონით ხარკოვში პურის საცხობებს ხსნიან, რათა თავის წევრებს პური უფრო იაფ ფასად მიაწოდონ.

### წერილი რედაქციის მიმართ

(ღია წერილი ცენტრალურ სამუშაო პროფესიონალურ კავშირს)

ჩვენ წერილობით გაცნობეთ, რომ თქვენმა კავშირმა უსამართლოდ დააჯარიმა ჩვენი კავშირის ერთი წევრი ხუთი მანეთით, და მოვითხოვეთ ამ ფულის უკანვე დაბრუნება, მაგრამ ამაზედ პასუხიც არ გვღირსებია. [illegible]

**ვანო.**

## დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფო სააგენტოსაგან)

6 ივნისი

**ეკატერინოსლავი.** [illegible]

**ლოძი.** [illegible]

**ალექსანდროპოლი.** [illegible]

**ლოძი.** [illegible]

**თეირანი.** [illegible]

2 ივნისს [illegible]

**ხარბინი.** [illegible]

[illegible]

**კიევი.** [illegible]

**ხარბინი.** [illegible]

**პეტერბურგი.** [illegible]

**ლოძი.** [illegible]

**პეტერბურგი.** 5 ივლისს [illegible] მოხდა სახ. საბჭოს სხდომა. თავმჯდომარემ აკითხვა წინადადება მისცა საბჭოს, მოისმინოს უმაღლესი ბრძანება 1 ნოემბრამდე საბჭოს მუშაობის შეჩერების შესახებ. ბრძანების მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ ხმა მაღლა დაიძახა: «გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძესა»-ო, რასაც დანარჩენები «ურას» ძახილით მიეგებნენ. «იმედი უნდა ვიქონიოთ, განაგრძო თავმჯდომარემ, რომ 1 ნოემბრისთვის უკეთეს პირობებში შევიკრიბებით და შეუდგებით ჩვენი ხალხის სასარგებლო მუშაობასაო.

**მოსკოვი.** გასაგზავნ ტუსაღთა საპატიმროში ერთმა პატიმარმა, რომელსაც კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი, დანით დასჭრა სატუსაღოს უფროსის თანაშემწე სევერინი.

**კიევი.** 4 ივნისს საღამოს სირკის საზაფხულო ბანაკში მყოფ ჯარში არეულობა განიზრახეს, მაგრამ არეულობა პოლკისავე საშუალებით ჩააქრეს. იმავე დღეს საპიორების ბანაკში ბანიევკაში აჯანყდა მე-21 ბატალიონი. სროლის შემდეგ ბატალიონისავე საპიორებმა აჯანყებულს იარაღი აჰყარეს და დაამშვიდეს. ერთი აფიცერი მოკლულია.

**ახხაბადი.** ახხაბადიდან 8 ვერსის მანძილზე დრეზინით მიმავალ მეარტელეს თავს დაეცა 8 კაცი. წაართვეს 14,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ 25 მაისიდან ასტრახანში ავად აღარავინ გამხდარა.

**სევასტოპოლი.** მალახოვის კურგანის მახლობლად საპატიმროს კვარტირმეისტერს მატულოვსკის თავს დაეცა ორი უცნობი. მატულოვსკი ორის ტყვიით დასჭრეს. ტანისამოსს გადაცმული მატროსები (სამი) და ერთი სხვა კაცი სიდოროვის ქალის სახლს დაეცნენ. ასტყდა სროლა. სახლის მდგმურები შეკრიბნენ. ორი თავდამსხმელი სასიკვდ ლოდ დაჭრილი აღმოჩნდა, სხვები შეიპყრეს.

### კირილე კოპლატაძეს.

პასუხის პასუხი. გაზეთ „ისარის“ № 114-ში მოთავსებული იყო პასუხი, რომ თანახმა ვარ სამედიატორო სასამართლოსი და ვადა დანიშნეო. მე განიშნავთ ვადას გაზეთის გამოცხადების დღიდან 5 დღეს და ბინას ვნიშნავ ვაგზალში.

**ერმილე კოპლატაძე.**

### ბატონ სევასტი გაჩეჩილაძეს.

(პასუხად)

თქვენი უხამსი მოქმედებისათვის გამოგიწვიეთ სამედიატორო სამართალში. გიცადეთ ორი კვირას, თქვენგან არა ვითარი კაცების დანიშვნა, არავითარი პასუხი! წარსულ კვირის თქვენ ლაზღანდარა — უკადრაული მოხსენებაა გაზეთ „ბზიკის“ მე 2 №-ში მოთავსებულია თქვენგან ჩემდამი მომართული „ღია წერილი, რომელშიდაც სწერთ შემდეგს: „თქვენი გ მოწვევა საამხანაგო სამართალში აღტაცებით მივიღე... ან გამომყევით ან ახლავე ბოდიში მოიხადეთო“. თქვენი ღვლაკვნა და ღორო-ჩორორობა ბევრს უკვირს; მე კი არ მაკვირვებს, რადგან კარგად გიცნობთ და თქვენ თავსაც ხშირად ამჟღავნებთ. ეს პატარა თქვენი „ღია წერილიც» ნათლად ახასიათებს თქვენის ზნეობით გოდების ავლა-დიდებას, თორემ აბა რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი იტყვის: „შენ გამომიწვიე საამხანაგო სამართალში, მე აღტაცებით მივიღე და თანახმა ვარ, მაგრამ „ბოდიში მაინც შენ მოიხადეო“. მე გიწვევ საამხანაგო სამართალში გამალებ და მევე ბოდიში?! აბა ეს სადაურია?! მეტყვით: სევასტისებურია. მართლა რომ სევასტისებურია...

ბატონო სევასტი! უნდა გახსოვდეთ კარგად, როცა ერთად ავარჩიეთ კომისის წევრები მაკაროვებისაგან ვ,რაზ„ „ახალშენის“ მიწების შესაძენად, იქ ამომრჩეველი სულ ცამეტი კაცი ვიყავით და რადგან რიცხვით ცოტაში არ აირჩეოდა, ჩვენ არა იქ დამსწრე პირებიც ავარჩიეთ ბ-ნნი ქუჩუკაშვილი, ბატაძე, თოროზოვი და სხვანი. მას შემდეგ არავითარი საზოგადო კრება ახალშენის ამხანაგობისა არა ყოფილა, თქვენ და მასთან დღევანდელი კომისია ბრძანდებით მხოლოდ ცამეტი კაცისაგან არჩეული პირი და თქვენ არავითარი ხარჯის გაწევის უფლება არა გქონდათ საზოგადო კრების დაუკითხავად, და იმ ცამეტი კაცის კრებასაც არ მოუცია არავითარ ხარჯის გაწევის ნება, არც საკითხი აღძრულა ამაზედ და არც არაფერი კრების ოქმში ჩატანილი. თქვენ, საზოგადო კრების დაუკითხავად, არა თუ თქვენის სურვილისა და ქეიფისამებრ ხარჯები გასწ ეთ, ჯამაგირიც კი დაუნიშნეთ თქვენს თავს!! როცა მე შეგხვდით, გისაყვედურეთ, რომ თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ საზოგადო ფული ხარჯოთ საზოგადო კრების დაუკითხავად მეთქი და თქვენ არა თუ სხვის ფულს ხარჯავთ პატრონების დაუკითხავად და უკანტროლოდ, არამედ ოქვენ თქვენი თავისათვის ჯამაგირიც კი დამინიშნავს მეთქი.

— მე კი არ დავინიშნე, კომისიამ დამინიშნა ჯამაგირიო.

— და მერე ვინ მისცა კომისიას ამისი უფლება მეთქი.

— არ ვიცი, ალბად ჰქონდათ უფლება, როცა დამინიშნაო.

დიახ! იმაშიაც გამტყუნებთ თქვენ, სხვათა შორის, რომ თქვენ სხვის ფული ხარჯეთ პატრონების დაუკითხავად. ექვსას კაცში ცამეტი კაცისაგან არჩეული თქვენ და თქვენი კამისია რამდენად კანონიერია და სამართლიანი და მერე ეგეთის თვითმპყრობელ ს სამოსლით შემოსილი ამას შემდეგ გავარკვევთ.

ჩემის მხრით ვირჩევ ორ კაცს ბ-ნთ ასლან კალანდაძეს და შ. გოგელიას; გაძლევთ წინადადებას, სამი დღეს განმავლობაში აირჩიოთ თქვენის მხრითაც ორი კაცი და შემატყობინონ არჩეულების სახელი და გვარი წერილებით ან კაცის პირით. თუ თქვენ ამას არ დასთანხმდებით, იქნებით სულ მდაბალი ცილის მწამებელი, მეჭორე და სხვის ფულის გამფლანგველი იც.

**სოსიკო მერკვილაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—25)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის** 8 **საათიდან** 10 **საათამდე და საღამოს** 5 **საათიდან** 7 **საათამდე**

(30—უ.—30) ია ეკალაძე-ცინცაძე.

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ.

ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—24) პატივ. **ო. კორონა.**

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. მ. გარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ბ. ი. გურგენოვი**; .—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—89)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი ფეოდალების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იამვალისა . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—3)

ყოველ დღიური გაზეთი

**„Кавказскій Рабочій“**

და ყოველკვირეული ჟურნალი

**„Кавказ. Професіональной Вестникъ“**

რადგან გაზეთ „Кавк. Рабочій“-ს გამოცემა, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, ეხლავე არა ხერხდება, გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „Кавк. Проф. вѣстникъ“-ი. ჟურნალს აზრადა აქვს ხელი შეუწყოს მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას. საოცარი განვითარება მუშათა პროფ. მოძრაობისა როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში იქცევს ყველას ყურადღებას. ჩვენი ჟურნალის მიზანია, შეძლებისა დაგვარად დახმარება გაუწიოს ამ მოძრაობას. აღნიშნოს პროფ. მოძრაობის ფორმები დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე გამოარკვიოს ის გზა, რომელსაც ეს მოძრაობა რუსეთში დაადგება.

რედაქცია დროებით მოთავსებულია: ტფილისის, ველიამინოვის ქ., № 7.

გაზეთი ღირს წელიწადში 3 მ. 51 კ., მუშებისთვის 3 მან. ცალკე ნომერი 7 კაპ., გამყიდავებს 5 კაპ.

რედ.-გამომცემელი **ივ. ნ. თამამშევი.**

(3—უ.—3)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთი პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

**კანტორა**

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.



**ფეხსაცმელი**

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი**: პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ.

ნარდაი შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

**სავაჭრო სახლი**

**„ლეოპოლდ ნეიშელლერი“**

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**აქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—31)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.